ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **011910886**
თარიღი: **18/04/2019**
პინი: **6961**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2019 წლის 20 მარტის N01190782163-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.13.07.021.098 და 01.13.07.021.004) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის „1²“ პუნქტის და მე-9 მუხლის „5¹“ შესაბამისად წარმოსადგენია:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
2. ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციასთან. მოძრაობის ორგანიზების სქემის შესათანხმებლად ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ან A4 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი. სქემის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის განცხადების (ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში შეტანილი) ნომერი და საკადასტრო კოდი. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შუალედური პასუხი. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ვებგვერდზე.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა უნდა აიტვირთოს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ვებგვერდზე, რის შემდგომაც განსახილველად გადაეგზავნება ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს. ასევე, უნდა აიტვირთოს კვლევის ერთიან დოკუმენტში წარმოდგენილი რუკების, სქემებისა და გაანგარიშებების სამუშაო მასალები:

· რუკა (.shp)

· სქემა (.dwg/.shp)

· ცხრილი და/ან დიაგრამა (.xlsx)

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 5 ფურცელი
დანართი 2: 1 ფურცელი
დანართი 3: 1 ფურცელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი


დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
საპროექტო ტერიტორია
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
ჰიდროგრაფია
N
1:3500
482800
483000
483200
483400
483600
4619200
4619000
4618800
4618600
თევდორე მღვდლის ქ.
თ. თიხამის ქ.
ს/ს საინჟინრო მოედანი
აბასთუმნის ქ.
ლალიონის მეს.
ვ. დადიანის ქ.
ვეშაპური ზაქარიას ქ.
მ. წინამძღვრიშვილის ქ.
თამარ მეფის გამზ.
ნ. ბუდოლის ქ.
ვაჭრის მოედანი
ქ. ფოცხვერაშვილის ქ.
მ. ლებანიძის ქ.
სურამის ქ.
ქ. ნინოშვილის ქ.


დანართი 3. საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
შენობები
სხვა გზები
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
კვანძები
საპროექტო ტერიტორია
ჰიდროგრაფია
N
1:2000
N 1
N 2
თევდორე მღვდლის ქ.
ი. თოხაძის ქ.
გ. ცაბაძის ქ.
აბასთუმნის ქ.
ვაგზლის მოედანი
482800
483000
483200
4619200
4619000

წერილის ნომერი: **01190843369**
თარიღი: **25/03/2019**
პინი: **0593**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 20 მარტის №01190782169-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.13.07.021.098 და 01.13.07.021.004) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის ნაწილის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) განვითარება, რომლისთვისაც დადგენილი გამწვანების კოეფიციენტი (კ3) შეადგენს 0,8-ს.

ამასთანავე, განმცხადებლის მიერ სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) განვითარების პირობებში დაგეგმილია სარეკრეაციო სივრცის, კერძოდ, სკვერის მოწყობა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგადი მონაცემები, რომელიც უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის ზოგად მონახაზს/ესკიზს გამწვანების კოეფიციენტის შესაბამისად განსაზღვრული გასამწვანებელი არეალების, ასევე გამწვანების კოეფიციენტის - კ3 ფართობის მითითებით.

ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ ინტერაქტიული რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება მწვანე ნარგავები განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას მათი აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტოპოგრაფიულ გეგმას საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მასზე საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავების ნუმერაციის შესაბამისად დატანით, ასევე, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნით.

განმცხადებელმა ასევე უნდა დააფიქსიროს წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის განვითარება ითვალისწინებს თუ არა ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრას ან გადარგვას.

აქვე გაცნობებთ, რომ გადასარგავი და საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას გამწვანების პროექტის ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ასევე კვიპაროსის სახეობების ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული ხარვეზების აღმოფხვრამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი